

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრედიტორის” დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ეთიკის ნორმების დაცვით დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენასთან მიმართებაში, რათა მოახდინოს პროცედურების დაგეგმვა არსებული გარემოებების შესაბამისად და არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპებისა და დაშვებების სათანადოობის შეფასებას, ასევე ზოგადად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

27 აპრილი, 2015

თბილისი, საქართველო

შპს „ბიდიო“

